

საერთაშორისო სპორტული

# სპორტიველი



**3** მერაბ რატიშვილი  
კია კლოდის  
გორჯღალის  
კასები

**6** ბარო სვანიძე  
ლაოსი

**8** მამუკა კვანტალიანი  
ჯოჯონათაგაგოვილი

**12** ბიორგი დარჯანი  
ლიგა  
ჩემპიონების  
უფა  
უეფა  
კოპა

**16** სსპდანსვა

**18** ნაიჯელ კოლინჯი  
კრივოლოგის  
დოქორი

**21** ასოფლის  
2002 წლის  
ნეპორონის  
შესარწვნი  
ქაბაი

**23** სოლომონ გულისაშვილი  
ვირბულური  
ჯიბრისნვა  
ეროვნულვა

**14-15 გვირდი**

მაიკლ ოუენი (ინგლისი, ლივერპული)

**ბარეკანვა**

I, II - 17.03.2001. რაბი. ევროპის ერთა  
თასი. რუსთავი, „ფოლადის“ სტა-  
დიონი. საქართველო — ესპანეთი  
43:10. (მია ახალაძის ფოტოები)

III - 28.03.2001. ფეხბურთი. თბილისი,  
ეროვნული სტადიონი. საქართველო  
— რუმინეთი 0:2. (მია ახალაძის  
ფოტო)

IV - საქართველოს მორაგბეთა ნაკ-  
რები (ბადრი კეთილაძის ფოტო)



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი  
რედაქტორის მოადგილე  
სოსო კობორეიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი  
დავით ნადირაშვილი  
ოპერატორი სვიტა ღვამაძე

მრჩემელთა საბჭო:  
ვანტანგ ზზიკაძე, სოლომონ  
გულისაშვილი, ავთანდილ  
გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,  
ზურაბ მეძველია, ზურაბ ფოცხვერია  
**გაზეთი სარბიელის დაბეჭდა**

**რეკლამა უურნალ «სარბიელში» — 93 16 08**



# ძია კლოდის ბორჯღალოს



## კ ა ც ე ბ ი

### მერაბ რატიშვილი

2001 წლის მარტისებრ სასახელო და საამაყო თვე ქართული რაგბის ორმოცწლიან ისტორიას ჯერ არ ახსოვს.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ორი გამარჯვება მოიპოვა, ორივე ოფიციალურ, „ევროპის ერთა თასის“ ეგიდით გამართულ მატჩში.

„ევროპის ერთა თასის“ წლევეანდელი და მომდევნო ვათამაშებები, ამავდროულად, 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. მარტის გამარჯვებებით ქართველებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს პლანეტის უდიდესი სარაგბო ტურნირისკენ. იქამდე ჯერ შორია, მაგრამ ბორჯღალოსანთა აღმასვლა მსოფლიოს თასზე მოხვედრის პერსპექტივას საკმაოდ ნათელს ხდის.

მარტში ჯერ იყო ომი კრასნოდარში ტრადიციულად უპრინციპულეს მეტოქე რუსეთთან. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველო და რუსეთი ერთ-ერთ ნაკრებთა დონეზე იქამდე სამჯერ გადაყრდნენ ერთმანეთს. პირველად რუსებმა იმარჯვეს (1993 წელს პოლონეთის ქალაქ სოპოტში). მერე კი ბორჯღალოსნებმა ორჯერ შინ დასცეს ჩრდილოელი მეზობლები (1996 და 1998 წლებში თბილისში). ამჯერად საქართველო პირველად სტუმრობდა რუსეთს და პირველადვე მიიღო მასპინძელთა მხრიდან ამდენი დამცირება-შურაცხყოფა.

ჯერ იყო და, ქართველ მორაგბეებს რუსეთის ვიზებს არ ამლევენენ. მერე რუსი დიპლომატები ოდნავ მოლბნენ, მაგრამ ისე გააჯანჯლეს საქმე, რომ საქართველოს ნაკრები ლამის

მატჩის დღეცაა ძლივს შეიკრიბა; კრასნოდარში ჩასულებს ორი დღის განმავლობაში არათუ სავარჯიშო სტადიონი, უბრალო მინდორიც თვალით არ დაანახეს, ქალაქის პარკში სარბენად წასულები კი ლამის მილიციის ძალით გამოყარეს — აქ ვარჯიში არ შეიძლება; ათსართულიან სასტუმრო „ინტურისტში“ ერთი ოთახი ვერ თუ არ გამოუნახეს, რათა მწვრთნელს თეორიაში წაემეცადინებინა შეგირდები; თამაშზე მიმავალი ბორჯღალოსნები ავტობუსის მძღოლმა აეროპორტისკენ გააქანა — მითხრეს, ასე გააკეთო. სანამ მას შეაგებინეს, რომ თამაში სტადიონზე იყო და არა აეროპორტში, დრო დაიკარგა და საქართველოს ნაკრებმა მატჩის სარბიელს დაწყებამდე ათი წუთით ადრე უწია;

უსაანალაგი მაცვლაზა მასულა გოდარძი მვლიძემაც დალალოვა

პირა ახალაპე





ქართველი ლომი - ასე მონათლა ნამახრავს ვასილ ხაცაძე შესაწავლთა მხვრთნალა

სტადიონზე გასახდელი არ დახვედრეს და ქართველმა მორაგებებმა მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარ ფიცრულში გამოიცივალეს...

რა უნდა ექნა ნატანჯ, ნერვებაწეწილ, პრაქტიკულად უვა-

რჯიშებელ და მოუთელავ გუნდს? წესით, უნდა წაგო. მაგრამ ბორჯღალოს კაცები ხომ სხვა ხალხია, გაუგონია ვინმეს მათი წუწუნი ან ვიშვიში? თუკი ისინი მოედანზე შედიან, მხოლოდ გამარჯვებისთვის!

და მოიგეს კიდევ. 4 მარტი. კრასნოდარი. რუსეთი — საქართველო 23:25!

ეს არ იყო რიგითი მოგება. ეს არ იყო მორიგი ორი ქულა სატურნირო ცხრილში. ეს არ იყო მხოლოდ უფრო მაღალი სა-

ბიი ლაბაძის შიქარება სამ შესაწავლას უჯირლა



რავბო ოსტატობის ხარჯზე მოპოვებული გამარჯვება. ეს უფრო მეტი იყო და რაც გნებათ, ის დაარქვით — პოლიტიკა, ღირსებისთვის ბრძოლა, თავდადება, დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ბოლმის გადმონთხევა... რაც მთავარია, ხალხმა გაიხარა.

*ჩვენი გაუბედურებული ქვეყნის გაუბედურებულმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაინახა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მას ჰყავს მართლაც ეროვნული გუნდი, რომლისთვისაც უცხოა შიში, მუხლის მოკვეთა და გააკეთა ის, რაც წლების მანძილზე ვერ მოუხერხებია მრავალ სპორტსმენ თუ პალსტუხიან ქართველს — რუსებს რუსეთშივე აჭამა ალიეური.*

ორი კვირის შემდეგ ბორჯღალოსნებმა შინ არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩი გამართეს ესპანეთთან. ხალხს გულით ეწადა რუსების მძლეველების ხილვა ეროვნულ სტადიონზე მორაგებებსაც ქვეყნის მთავარ სარიელზე სურდათ ქომაგთა გახარება. მაგრამ საქმეში ხარ? 28 მარტს საქართველო — რუმინეთის საფეხბურთო მატჩია და ფეხბურთელებს მოედანი უნდა მოეუშნადოთ, თქვენ კი, მორაგებებო, საფარს გააფუჭებთ და ამიტომ აქედან აიბარავითო. აი, მოკლედ ის ფრაზა, რომელიც ქართველმა მორაგებებმა საბოლოოდ მოისმინეს. მანამდე კი მთელი კვირის განმავლობაში იყო გაუთავებელი თათბირები, შეხვედრები და მორაგებებსაც რუსთავისკენ მიუთითეს.

რუსთავის „ფოლადი“ თხუთმეტ წელიწადზე მეტს არსებობს და მესამედ შეივსო პირთამდე მეტიც, უადგილოდ დარჩენილი ბევრი გულშემატკივარი ფეხზე მდგომი უცქერდა მატჩს და თავის გუნდს ქომაგობდა. ბორჯღალოსნებმაც დაუფასეს ხალხს ერთგულება და მძლავრად, ულაპარაკოდ სძლიეს მეტოქეს — 43:10. ეს უკვე აღარ იყო მხოლოდ ვაჟაკობაზე და თავდადებაზე აწყობილი გუნდი. არა, ბორჯღალოსნებს ეს თვისებები არსად დაუკარგავთ, უბრალოდ, მათი თამაშის ხარისხიც შეუდარებლად ამაღლებული და გაუმჯობესებული იყო.

ყურადღებას მიაქცევდით, წერილში ერთი მორაგბის გვარიც არ გვიხსენებია. ორი აზრი არ არსებობს, თითოეული ბორჯღალოსანი ქების ღირსია, მაგრამ

ამ შემთხვევაში არ დავაკონკრეტებთ და ვიტყვით, რომ ეს არის გუნდი, რომლისთვისაც გუნდური თამაში და აზროვნება ჩვეულებრივი რამ გამხდარა. ბორჯღალოსანთა მესაჭეზე უთქმელობა კი არაფრით იქნება.

*53 წლის ფრანგი კლოდ სორელი, მია კლოდი, ბოლო ათი წლის ქართული სპორტის სიბნელეში ალბათ ერთადერთი გამონათებაა. საქმის მცოდნე და გულითა და გონებით მეუბნელებელი კაცი.*

მისმა დამოძღვრილმა ნაკრებმა მარტშივე ევროპის რეიტინგში მერვე, ხოლო მსოფლიოს რეიტინგში მეოცე ადგილზე აინაცვლა. ასე მაღლა საქართველო ჯერ არ ყოფილა.

მერე იყო 28 მარტი, ფეხბურთი და ყველამ დაინახა, რომელია მართლა ეროვნული გუნდი და ვინ უფრო იმსახურებს ქვეყნის მთავარ სარბიელზე თამაშს.



*ირაკლი აბუსარიძის (მარცხნივ) ჯარბად დაწყებული საქმე შოთა მოლაბაძემ გააგრძელა*

*ქართველთა შერჩინება მუხომისა ბალათალა*

ზინა აბაღაძე



# ლეონსიო

ფრანგთა  
ქართველი  
ბერბეროსი  
ნიკორას  
ბვალზე

ზაჩო სვანიძე

ბოლო წლებში ლევან ცაბაძემ საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ფრანგული „კასტრისა“ და ერთგული ნაკრების მორეინალი ორჯერ ვახდა საქართველოს ჩემპიონი. შემდეგ ვაიზუვა, რომ მისთვის თავის გამოჩენა არც ცხრა მთას იქით ყოფილა ძველი. მოწინავე ფრანგული კლუბის „კასტრის“ შემადგენლობაში „ლეონსიო“ ისეთი ვანთქმული მორაგბის მხარდამხარაა ენდი თაუნსენდი რომ ვახლავთ. რაგბის ჩემპიონთა ლიგაში, რომელსაც „ჰეინიკენის თასი“ ეწოდება, რუსთაველს თავი არ შეურცხვენიან... და აი, საქართველოს ნაკრებმა „ეგროტის ერთა თასის“ მეოთხე ტურში ესპანელებს უმასპინძლა. მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი მორაგბეები, მათ შორის ცხადია ლეონსიოც, თბილისში ჩამოვიდნენ და პრინციპული მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ. თავისუფალ დროს ისინი მონატრებული ახლობელ-ნათესავების მონახულებას ანდომებენ, მაგრამ ჩვენმა ვმირმა მაინც ვამონახა ხანი „სარბიელის“ მკითხველთან სასაუბროდ.



მედიკოსი

ბი ახალაძე



ლაკან ცაბაძე: ქართული  
გაზეთის ბარჯი

**— ლევან, რაგბიში თქვენი მოსვლის მრავალი ვერსია არსებობს, რომელია მართალი?**

— თავიდან მოჭიდავე ვიყავი. ჩემმა მეგობარმა ზაზა ხუციშვილმა, მეტსახელად „ნიკორამ“ ჭიდაობას თავი მიანება და რაგბიში გადავიდა. მეც ზაზას მივბაძე და რუსთავის „აზოტის“ შემადგენლობაში ჩავირიცხე. 1993 წელს „აზოტთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონი გავხდი. მომდევნო სეზონში კი ვიცე-ჩემპიონის ტიტულს დავეუფლე. ამის შემდეგ ახალშექმნილ „გუმარს“ მივაშურე. პირველვე წელს ვერცხლის მძლეობი მოვიპოვეთ, თუმცა მომდევნო გათამაშებაში შედეგი გავაუმჯობესეთ და საქართველოს პირველი გუნდის წოდებაც ვირგვეთ.

**— ამის შემდეგ დაიწყო თქვენი ფრანგული კარიერა.**

— არა. „გუმარიდან“ ისევ რუსთავში დავბრუნდი. ერთი თვე მშობლიური ქალაქის გუნდის ღირსებას ვიცავდი. მერე საფრანგეთიდან დამიკავშირდნენ. ბევრი არ მიფიქრია, დაუყოვნებლივ ევროპას მივაშურე. თავიდან სამოყვარულო კლუბის „შატორენის“ მაისურა მოვირგე. მერე უკვე „ელიტა 1“-ის გუნდმა „ნარბონამ“ მიმიწვია. „ნარბონაში“ თამაში ძალიან წამადგა, გამოცდილებაც შევიძინე და პროფესიონალად ჩამოვყალიბდი. ჩემი თამაში არც „კასტრის“ სელექციონერებს გამოპარვიათ და თავიანთ გუნდში გადასვლა შემომთავაზეს. რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან „კასტრი“ ერთ-ერთი წამყვანი კლუბია ფრანგულ ლიგაში.

**— ალბათ, ჩვენებური და იქაური პირობების შედარება სასაცილოა.**

— სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. ფრანგები ვერაფრით დავაჯერე, რომ საქართველოში არსებული ყველა სტადიონი ფეხბურთელების განკარგულებაშია, მორაგებებს კი იქ შესასვლელად ომის გადატანა უწევთ. თანაგუნდელები მეუბნებიან, საქართველოში დავკაბატიე და ამხანაგურად

გავეჯობებოთ თქვენს ნაკრებსო, მაგრამ სად დავკაბატიე? მიუღი და რესტორანში ხომ არ გამოვკეტავ. სულ მეუბნებიან, ქართველები გმირები ხართ, თქვენი ნაკრები გუნდი არისო. შეიდაცას მსოფლიოს თასზე ფრანგები რომ დავამარცხეთ და სამხრეთ აფრიკა ბეწვზე გადავვირჩა, მხრებს იჩენდნენ, ასეთ პროგრესს როგორ მიადწვითო.

**— ახალი ზელანდიის წინააღმდეგ უნდა გეთამაშა ფრანგ „ბარბაროსთა“ შემადგენლობაში, მაგრამ, როგორც ვიცით, ტრავმამ შეგიშალა ხელი.**

— კარგი კი იქნებოდა, მეთამაშა. „ბარბაროსები“ საფრანგეთის ლიგაში მოთამაშე ლეგიონერების ნაკრებია. ახალ ზელანდიელთა წინააღმდეგ მეც დამიძახეს, რაც ქართული რაგბის აღიარებაა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემპიონატის მატჩში დავშავდი და თამაში ვეღარ შევძელი.

**— საქართველოს ნაკრებმა „ევროპის ერთა თასზე“ სამი მატჩი უკვე მოიგო, მაგრამ სხვათაგან გამორჩეული რუსებთან მოპოვებული გამარჯვებაა. მით უფრო, ბევრი ითქვა რუსთა ცუდი მასპინძლობის შესახებ.**

— რაგბიში არსებობს დაუწერელი კანონები და გარკვეული ფასეულობები. საქმისადმი ასეთი მიდგომით რუსები დიდხანს ვერ გაჩერდებიან სარაგბო ოჯახში. მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ჩაკედიტ კრასნოდარში და მასპინძლებმა არანაირი პირობები არ შეგვიქმნეს მოსაშვადებლად. ბურთს და მოედანს ვინ ჩივის, დასალევი წყალიც კი არ მოუტანიათ ჩვენივით. წყალს რომ არ დაგაღვივებენ, იმ ხალხზე რა უნდა ილაპარაკო. მომავალში იძულებით თუ ჩამიყვანენ რუსეთში, თორემ

ჩემი ნებით იქითკენ გახედვაც არ მიხდა. მატჩის წინ ბოლმის ცრემლი მახრჩობდა. თამაშამდე ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, რომ რუსთა მოსალოდნელ პროვოკაციებს არ ავეულოდით და მოედანზე ჩხუბი არ აგეტეხა. თავად მატჩი ვაჟაკურ ბრძოლაში გაილია, ბედნიერი ვარ, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენ დავგვრჩა.

**— მატჩის შემდეგ, ავტობუსის მძღოლთან კონფლიქტიც მოგსვლიათ.**

— ავტობუსს სტადიონზე უნდა წავეყვანეთ და რატომღაც აეროპორტში გაგვაქანა. მე საგზური აეროპორტში გამომიწერეს და თქვენი სტადიონი სულ არ მაინტერესებსო. როგორც იქნა, შევეგნებინეთ, რომ აეროპორტში არაფერი გვესაქმებოდა და მატჩის დაწყებამდე ათი წუთით ადრე კრასნოდარის „დინამოს“ სტადიონს მივადევით. მატჩის შემდეგ ეს მძღოლი ავტობუსთან იდგა და შეგვაგინა, თქვენს გამო მართვის მოწმობა წამართვესო. ამის მოთმენა ვეღარ შევძელით და ერთ-ერთმა ჩვენგანმა გვარიანად მოსლო ყბაში.

**— შენი აზრით, შეძლებს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გასვლას?**

— ვფიქრობ, რომ მსოფლიოს თასზე აუცილებლად ვითამაშებთ. ამ დიდ გამარჯვებას კი სრულიად საქართველოს მიუძღვნით. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების დევიზია — წინ მსოფლიოსკენ! მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დავიხვეთ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დავგავადეს. ყველაფერს გვეციცებით, ამას ტყუილად არ ვამბობ. ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ. თუ არც ამის შემდეგ მოგვაქციეს ყურადღება და არ დავგეხმარნენ, ქუდს დავიხურავთ და წავალთ. თვალში აღარავის შევეჩხირებთ.

ბი ახალაძე






# ჯოჯოხეთგამოვლილი


## კობაკი ნახევარფინალისა

1980-81 წლების სეზონის თასების მფლობელთა თასი. ნახევარფინალი  
8.IV. 1981 თბილისი სტადიონი „დინამო“ 80 000 მაყურებელი

**ღ** დინამო თბილისი 3:0 უფიენოროდი (პოლანდია) 

1:0, 3:0 სულაქველიძე (23,51), 2:0 გუცაევი (30)  
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე (ხიზანიშვილი 61), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (უვანია 65)  
უფიენოროდი: ჰილე, ნილსენი, ტროსტი (ბრარდი 76), სტაფლიუ, ვაინსტეკერსი, ბოუნენსი, ფერმიულენი, ბუდინგი, ნოტენი, პეტურსონი (დე ლიუვი 55), ვან დაინსენი  
მსაჯი: ე. ფრედერიკსონი (შვედეთი)

22.IV. 1981 როტერდამი სტადიონი „ფეიენოროდი“ 35 000 მაყურებელი

 უფიენოროდი (პოლანდია) 2:0 დინამო თბილისი **ფ**

ბოუნენსი (43), ნოტენი (57)  
ფეიენოროდი: ვან ენგელენი, ნილსენი (დე ლიუვი 67), ბრარდი, ბუდინგი (პეტურსონი 80), ვაინსტეკერსი, ბოუნენსი, ფერმიულენი, ვან ტილი, ნოტენი, პეტერსი, ვან დაინსენი  
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი 75), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია  
მსაჯი: ფ. ვიორერი (ავსტრია)



### გამუქა კვანტალიანი

*ერთი ნაბიჯი იყო ფინალამდე... მხოლოდ ორი თამაში და... 20 წლის წინ ისინი ვარსკვლავები იყვნენ, შეიძლებოდა, წაეგოთ, მაგრამ იმ წაგებასაც ვაჟკაცური იერი ექნებოდა. ან ვინ ფიქრობდა დამარცხებაზე, მხოლოდ წინ, მხოლოდ გამარჯვება.*

...ისწინებენ დღეს ოდინ-დელი ვარსკვლავები, ბევრ საინტერესო ამბებს ყვებიან და ხედავ, რა სხივი ჩასდგომით თვალებში. შენს წინ 25 წლის ბიჭებად იქცევიან ეს დროული კაცები.

„თასი ჯერ კიდევ ნახევარფინალში მოვიგეთ. როტერდამში თამაშის შემდეგ უკვე ვიცოდით, რომ თასი ჩვენი, საქართველოსი იქნებოდა. საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა. გუნდმა პოლანდიაში ისეთ არაადამიანურ გამოცდას

გაუძლო, რომ უარესი არაფერი არსებობდა.“ 1981 წლის 13 მაისის ერთ-ერთი გმირი თამაზ კოსტავა 20 წლის შემდეგაც ვერ ივიწყებს როტერდამულ კოშმარს, რომელმაც „დინამო“ გმირად, დაუმარცხებელ გუნდად აქცია.

თამაზ კოსტავა, შოთა ხინჩაგაშვილი და რამაზ შენგელია კიდევ არაერთ ამბავს მოყვებიან, მანამდე კი ვაგისხენოთ 8 და 22 აპრილის ოცი წლის წინანდელი საღამოები.

„ვესტ ჰემის“ დამარცხების



შემდეგ, ნოდარ ახალკაცს ყოველმხრივ მზად ჰყავდა გუნდი. „დინამო“ მზად იყო ტექნიკურ-ტაქტიკურად, ჩინებულად გაწვრთნილი ფიზიკურ-ფსიქოლოგიურად. მწვრთნელის ერთადერთი საფიქრალი ჯერაც მოუშუშებელი ტრავმები გახლდათ.

რამაზ შენგელიამ 8 აპრილამდე ჩემპიონატის ორი მატჩი გამოტოვა, შოთა ხინჩაგაშვილმა კი სამი. თამაზ კოსტავას, რომელმაც „ვესტ ჰემთან“ ტრავმის გამო ვერ ითამაშა, მარჯვენა ფეხი კვლავ წამოსტკივდა. ვერ ვარჯიშობდნენ ვიტალი დარასელია და ნოდარ ხიზანიშვილი.

მეტოქე კი ტიტულიანი და ვეროპაში სახელდავლებული როტერდამის „ფეიენორდი“ გახლდათ. ჰოლანდიის 11-გზის ჩემპიონი, 5-გზის თასის მფლობელი. მის ტიტულებს ამშვენებდა ჩემპიონთა და უეფას თასები, სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. იმ დროისთვის ჰოლანდიურ კლუბს ერთი ევროპული ჯილდო აკლდა — თასთა თასი. კლუბის შეძლებული მეპატრონენი გუნდს ამ ტიტულის მოგებასაც უსახავდნენ მიზნად და „ფეიენორდი“ გასაწვრთნელად გამოცდილ სპეციალისტს, ვეროპის ჩემპიონ, ჩეხ ვაცლავ იეჟეკს ჩააბარეს.

მიუხედავად ასეთი დიდებისა, იმდროინდელი „ფეიენორდი“ მწვერვალზე აღარ გახლდათ. დიდებული ძველი გვარდია გუნდში უკვე აღარ იყო. როტერ-

დამელებს ჰოლანდიაში იმ დროისთვის უკვე მეორე გუნდის იარლიფი ჰქონდათ მიწებებული.

გარეგნულად ეს არ ჩანდა, მაგრამ „ფეიენორდის“ პრობლემები გაცილებით სიღრმისეული და გლობალური იყო. ეს ყველაზე უკეთ ვაცლავ იეჟეკმა უწყოდა და როცა მწვრთნელმა „ვესტ ჰემ“ — „დინამოს“ მატჩის ვიდუღიერი იხილა, აღიარა — „დინამო“ ძნელად დასამარცხებელი გუნდიაო.

იეჟეკი თბილისში ვერ ათამაშებდა მცველ ვან ტილს ორი გაფრთხილების გამო. ნახევარმცველი ვან დერ კორპუტი იტალიაში გადაბარგდა. იანსენი შეკრებებზე საერთოდ არ გამოცხადდა.

გუნდის უპირველესი მეგობარული პეტრსონი ტრავმის შემდეგ ფორმაში არ იყო. მწვრთნელს გერმანული „ბოხუმიდან“ გადმობრებული ფორგარდი იუპ კუნრა კი ჰყავდა, მაგრამ ზამთრის პირზე შექმნილ ფეხბურთელს ევროსარბიელზე იმ დროისთვის ვერ ათამაშებდა. ის დრო რომ ყოფილიყო, როცა მინდორზე იანსენი, ისრაელი, ლასერნოსი, მულინი, ვან ჰანეგემი, კინდვალი დაქროდნენ... დიდებული ძველი გვარდიის ნაცვლად იეჟეკის განკარგულებაში, მართალია, გამოცდილი, მაგრამ საშუალო სიძლიერის ფეხბურთელები იყვნენ. „ფეიენორდს“ არ ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერი. ჰოლანდიელები ხისტ, კოლექტიურ ფეხბურთის თამაშობდნენ,



მატჩის წინ: აპრილში, რენა ნოტანი და ალექსანდრა ჩიკაძე

გამარჯვებისთვის თითოეული მაქსიმალურად იხარჯებოდა. იეჟეკმა „ვესტ ჰემ“ — „დინამოს“ ვიდუღიანაწერი არ იკმარა და თბილისში, „ზენიტთან“ მატჩს დაესწრო. „მჯერა კარგი შედეგის, მაგრამ „დინამო“ დიდებული გუნდია. ყოფიანი, ჩივა-

ძე, გუცაევი, შენგელია, სულაქველიძე ჩინებული ფეხბურთელები არიან.“ ასეთი კომენტარი დატოვა საქართველოში ჩენმა სპეციალისტმა და ჩაფიქრებული გაბრუნდა უკან.

მეტოქის დაზვერვა, „ფეიენორდის“ თამაშის ცოცხლად ხილვა არც ნოდარ ახალკაცს დავიწყებია. ქართველთა თავკაცმა როტერდამელთა და „ეინდჰოვენის“ პაქრობას უყურა. მისი კომენტარი, როგორც ყოველთვის, რამდენიმე სიტყვამ დაიტია — „თანამედროვე ფეხბურთის თამაშობენ, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, „ფეიენორდს“ მთელი ძალით არ უთამაშია.“

ჰოლანდიელები თბილისში 6 აპრილს ჩამოფრინდნენ. იეჟეკმა 17 ფეხბურთელი იახლა, განაცხადში კი იმ მომენტისთვის 16 საუკეთესო შეიყვანა. „ფეიენორდი“ მეორედ იყო საქართველოში. პირველად ისინი 1960 წელს ამხანაგურად გაეჯიბნენ ქართველებს და 1:3 დამარცხდნენ. უკეთესი დღე არც 21 წლის შემდეგ ელოდათ.

„...დინამომ“ თავიდანვე დაიწყო და 70 წუთის განმავლობაში ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო მეტოქეს. სამი გატანილი გოლი, ორჯერ მეტი ქარს გატანებული საგოლე მომენტი. „ფეიენორდმა“ ბოლო 15 წუთში გამოაჩინა ბრჭყალები, მაგრამ გოლი ვერ შეაგლო.

80 ათას კომარს დიდი მატჩი ელოდა





თანგო სულაჯაღია იმ დღის პარსავლავი გახლდათ - ამ გოლის გარდა, კიდევ ერთი გაიტანა

„ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა, შანსი კიდევ გვაქვს, ასე რომ, როტერდამში გელოდებით“ — იეჟუკს კიდევ შერჩენოდა ფინალში მოხვედრის იმედი.

ორი კვირის შემდეგ უკვე „დინამოს“ ელოდა როტერდამში ვოჯოხეთი. არა, თავად მასპინძლები საშიშნი სულაც არ იყვნენ.

ქართველთა თავს მოვლენილ ვოჯოხეთს ავსტრიელი მსაჯი ვიორერი ერქვა.

სამი გატანილი და არჩათვლილი გოლი, ორი არდანიშნული პენალტი.


„დინამო“ პირველი ტაიმის ბოლო წუთამდე უმკლავდებოდა მეტოქეს, ბოლო წუთზე კი ბოუნსმა თავით გაიტანა. „ფეიერ-

ორდმა“ ჩვენი დაცვისა და მეკარის ერთადერთი შეცდომა გოლად აქცია.

მეორე ტაიმში ჰოლანდიელთა კაპიტანმა ნოტენმა არარსებულად, ვიორერის მიერ გამოგონებული თერთმეტმეტრიანიდან გაზარდა სხვაობა. დრო საკმაოდ მეტი იყო... გაძლო „დინამომ“, ავლობა მეტოქეს, მის ქომაგს,

მსაჯებს და საკუთარ თავსაც. თამაზ კოსტავა: არ ვიცი რატომ, მაგრამ თბილისური მატჩის შემდეგ ნოდარ ახალკაცი სულ გვაფრთხილებდა, ნუ მოეშვებით, თამაში ჯერ მოგებული სულაც არ არისო. ჩვენც, მიუხედავად სამბურთიანი უპირატესობისა, უადრესად დაძაბული ბრძოლისთვის ვემზადებოდით. მაინც არ ვიცი, რამ გავაძლებინა, როგორ შევიკავეთ ემოციები. ალბათ, იმ მომენტისთვის ყველაფრისთვის მზად ვიყავით.

თბილისური მატჩის პროგრამა



- „დინამო“ თბილისი
- ო. ბაბალია
  - თ. კოსტავა
  - ა. ჩივაძე
  - ბ. ხინიაშვილი
  - გ. კაპოლაშვილი
  - დ. შაშირი
  - ე. მთელია
  - თ. სულაჯაღია
  - დ. მთიანი
  - ვ. მუსაბეგი
  - რ. მონღალია
  - ს. სანაძე
  - ვ. ღვარამია
  - ვ. მანია
  - გ. თაყაი
  - ბ. იფინაძე

- „ფეიერორდ“
- კ. კვიციანი
  - ი. ნიქოლაძე
  - ბ. ვინიასაძე
  - ს. ბრარდი
  - ლ. ბაქალაძე
  - მ. ბროუსტი
  - დ. მან მანიაძე
  - ი. ვან მანიაძე
  - კ. გოშაძე
  - რ. ნოტიანი
  - პ. პატარაძე
  - ი. იაკობაძე
  - ვ. პარმულიანი
  - რ. ბუღინი
  - ი. კობახიძე
  - პ. გრუნინი

„დინამო“ (თბილისი, სსრკ)      „ფეიერორდ“ (როტერდამი, ჰოლანდია)

8. IV. 1981

დასაწყისი 19 საათზე

**საქართველო**

1981 წ. 9 (6881)

**ბრწყინვალე გამარჯვება**

**ბრწყინვალე გამარჯვება**

დინამო თბილისი - ფეიერორდ როტერდამი 2:0

დინამო თბილისი - ფეიერორდ როტერდამი 2:0

დინამო თბილისი - ფეიერორდ როტერდამი 2:0

დინამო თბილისი - ფეიერორდ როტერდამი 2:0

დინამო თბილისი - ფეიერორდ როტერდამი 2:0

დინამო თბილისი - ფეიერორდ როტერდამი 2:0



მასამ გოლი ღინაგოალთა ღიღმა ბარამარბამ პლაღიღარ გუგავამ გუგლო

ლოდ ერთხელ, ფინალში „კარლ ცაისთან“ (მ-ის მერე მახსოვს ვიორერი... მერე და მერე გავარკვეით ბუერი რამ. პოლანდი-აში ჩვენს სტუმრობამდე „ფეინ-ენორდმა“ ამხანაგური მატჩი ითამაშა ავსტრიაში. მასპინძელი ვიორერის ქალაქის გუნდა ყოფილა, მსაჯი კი თავად ვიორერი.

როგორც ვიცი, უეფამ ავსტრიელი არბიტრი მაინც დასაჯა. ნოდარ ახალკაცს პროტესტი არ განუცხადებია, მაგრამ უეფაში ამბავი მატჩის დელეგატს ჩაუტანია.

რამაზ შენგელია: „სად არ მი-თამაშია, მიკერძობული მსაჯობა როგორ არ მინახავს, მაგრამ როტერდამული არასდროს დამავიწყდება. თავის ხელში აყვანა მოვახერხეთ. ამან გვიშველა. ოღნავ რომ აველოდიტ მეტოქესა და მსაჯის პროვოკაციებს, მორჩა, ჩვენ ფინალს ვერ ვიხილავდით.

ერთმა ფაქტმა გამოცა, რამაც საბოლოო გამარჯვება გავკვიოლა. პოლანდიელმა ქომაგმა ბლოლ 15 წუთში „ფეინენორდის“ გულშემატკივრობა შეწყვიტა. თამაშის შემდეგ კი არც ოვაციები დაუშურებით ჩვენთვის. ისინი ხელდავდნენ, მათ გუნდს რომ ვკვობნიდით.“

შოთა ხინჩაგაშვილი: „როტერდამი არ გამახსენია. 1981 წლის 22 აპრილს ფინალში თამაშის უფლებას გამოვეთხოვე.

არადა, არაფერი დამიშავებია. რომელიღაც პოლანდიელი გაბლიას ეუხეშა. მე მხარზე ხელი ვკარი და ვანიშნე, გონს მოსულიყო. იმ არამზადმ კი ვვითელი ამიფრიალა. თვალეშში მიყურებდა, თითებით წითელ ბარათს აწვალებდა. მოვითმინე.“

დაცვის ბურჯი გამოგვაკლდა, თქვა ნოდარ ახალკაცმა. ხინჩა-

გაშვილმა ორი ყვითელი ბარათის გამო ფინალი ვერ ითამაშა. ნოდარ ახალკაცმა როტერდამშივე იცოდა, ფინალის მეტოქედ „დინამოს“ იენის „კარლ ცაისი“ რომ ელოდა. გადამწვეტეტი, ისტორიული მატჩის წინ ბევრი რამ იყო შესაცვლელ-შესასწავლი. „კარლ ცაისის“ თავკაცებს კი „დინამოს“ შესახებ

არცთუ მწირი ინფორმაცია მოეპოვებოდათ. გერმანულეშმა ტელევიზიის წარმომადგენლები ვერ კიდევ მ აპრილს, პირველი ნახევარფინალური მატჩისას აფრინეს თბილისში.

წინ 13 მაისი იყო...

როგორსააული აბატის პროგნოზი

STADION PORTNIEWS

OFFICIEEL WEDSTRIJDPROGRAMMA  
**FEYENOORD - DYNAMO TIFLIS**

Geen gevaarlijer dagblad dan een  
**Algemeen Dagblad**

UEFA

**პროგნოსის საკლუბო სურვილები**

**მატჩი, რომელმაც ფინალის საგზური მოგვიტანა!**

როგორც ვხედავთ, ფინალის საკლუბო სურვილები უკვე კარგად გამოვლინდა. ფინალის საკლუბო სურვილები უკვე კარგად გამოვლინდა. ფინალის საკლუბო სურვილები უკვე კარგად გამოვლინდა.



UEFA  
CHAMPIONS  
LEAGUE

# მინდორში, პითოე ბელასში...

## გიორგი დარჯანი

„ეს კატასტროფა!“ — წამოუძახია „მალკეს“ კომერციულ დირექტორ რუდი ასაუერს, როცა ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის ბოლო ტურში „სპარტაკი“ — „ლიონის“ მატჩის შედეგი შეიტყო. გავიხსენოთ: ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თუ ფრანგები „ლუჟნიკის“ ვითომ ბალახზე მოიგებდნენ, მეოთხედფინალში გავიდოდნენ და მის მიღმა „არსენალს“ დატოვებდნენ. „ლიონმა“, იქამდე „ბაიერნის“ გამანადგურებელმა, ვერ მოიგო, თავადაც ბლომად სავოლემ მომენტები გააფუჭა და ჯგუფში ბოლო ადგილისთვის განწირული „სპარტაკიც“ გაჯიუტდა. ერთი სიტყვით, ამ ჯგუფიდან „ბაიერნი“ და „არსენალი“ გავიდნენ.

ახლა ის ვთქვათ, რა შუაშია აქ „მალკეს“ დირექტორი. „ლიდისისთვის“ ბოლო ორი ტური ფორმალურად იქცა, რადგან მეოთხედფინალის საგზური ადრევე გაენადლებინა, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ ჯგუფში ჩასარჩენად ერთადერთი ვარიანტი არსებობდა — ბოლო ტურში შინ „შტურმთან“ 0:3 უნდა წაეგო. ეს იმთავითვე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, თავად ავსტრიელებსაც არ სჯეროდათ და არც მოხდა. უფრო რეალური „არსენალის“ გაჯარდნა იყო, თან ინგლისი ერთადერთია, გუნდი რომ არ დაუკარგავს. აი, „ლიონს“



დაპორტირებული ჯალმინია

ინგლისურია და გელზერკირხენელ დირექტორსაც ეს აღარდებს: უეფამ ინგლისს ლიგაში მეოთხე ადგილიც რომ უბოძოს გასაკვირი იქნება? აი, უეფას თასზეც შემორჩენიათ ერთი გუნდი — „ლივერპული“, მაგრამ ინგლისს თუ მისცემს, ვიღაცას ხომ უნდა წაართვას? ვაითუ, ჩვენ? თავიდან ხომ ოთხი გუნდი გვყავდა და მხოლოდ „ბაიერნი“ შეგვრჩა, „მალკე“ ბუნდესლიგაში მეოთხეზე რომ გავიდეს და ლიგაში ადგილი აღარ გვევგოს? ნეტავ, იტალიელებს წაართმევდნენ, ისინი ხომ გერმანელებზე ცუდად თამაშობენ.

შენიშნავდით, რომ „მალკეს“ პრობლემა გერმანული ფეხბურთის პრობლემაცაა, თუმცა ვერჯერობით შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. ერთი იმიტომ, რომ როგორც გაირკვა მომავალი სეზონისთვის უეფას ადგილები უკვე განაწილებული აქვს და გერმანიას კვლავ ოთხი გუნდი ეყოლება, ხოლო ინგლისს ისევ სამი. მეორეც ის, რომ ადგილის დაკარგვისა უფრო იტალიელებს უნდა ემიზონდეთ.

19 წელია იტალიელებს ევროტურნირებზე ასე ცუდად არ უთამაშიათ. მათი ბოლო იმედი კი „მილანი“ იყო და, თურმე, ეს აღბურთი დაკერონის ბოლო იმედიც ყოფილა.

ბოლო ტურში საკითხი ძალიან მარტივად იდგა — მეოთხედფინალში გასასვლელად მილანელებს მხოლოდ მოგება აძლე-

მოსკოვში რომ მოეგო...  
„ლიდისი“, „მანჩესტერი“, „არსენალი“ — ლიგას შემორჩენილი რვა გუნდიდან სამი

## განმარტებული კოლ სკოლები ავსტრიული მხარის ჯარს უბავს



REUTERS

ვლად ხელს „მილანს“ „არსენალისგან“ გასსხვევებით, სხვისი წაფორჩილების ხარჯზე გადარჩენა არ შეუძლო.


ეთქვით, საკითხი ძალიან მარტივად იდგაო, მაგრამ შესასრულებლად ერთობ ძნელი გახლდათ. „მილანის“ მეტოქე „დებორტივოს“ ფრეც აწყობდა და აბა, რას დათმობდა.

ახლაც კამათობენ, წააქცია თუ არა თომას ჰელდერეკმა ხუან კაპდევილა, რომლისთვის დანიშნულმა პენალტმა „დებორტივო“ დააწინაურა. უფრო საკმათია, წააქცია თუ არა ხოსე მოლინამ ოლივერ ბირჰოფი, რის მერეც „მილანმა“ საპასუხო პენალტი გაიტანა, და ყველაზე მეტად კი იმაზე კამათობენ, იყო თუ არა ბირჰოფი თამაშგარეშე, როცა ხოსე მარის გოლი არ ჩაუთვალეს და „მილანი“ ლიგას დაემშვიდობა. ამბობენ, პასიური ოფსაიდი იყო.

პსე — „გალათასარაის“ აზრდაკარგული მატჩი გვახსენდება, ესეც ბოლო ტურისა. პარიზელი კრისტიანი პასიურ თამაშგარეშე იყო და მსაჯმაც არ დაუსტვინა, მერე კრისტიანმა პასი მიიღო და გოლი გაიტანა. ახლა მოდი და არკვიე, რას ნიშნავს პასიურობა, თუმც ეს სულ სხვა თემაა.

ბოლოს ისევ იტალიელთა უნათობის ამბავს მივუბრუნდეთ. ლაციოელმა ჯანლუკა ძამბროტამ, მისი გუნდის ლიგიდან გავარდნის მერე თქვა, სერია A ჩემპიონთა ლიგაზე მნიშვნელოვანიაო. ძამბროტა ეგებ მართლაც ასე ფიქრობს, აბა, როგორ შევამოწმებთ, მაგრამ ეჭვი არ გვახსენებს: „ლაციოს“ ლიგა რომ მიეგო და სერია A-ში სადღაც ქვევით ჩაკარგულიყო, მაშინაც ასე იტყოდა?

ესპანელებზე კი არაფერი გვითქვამს. ანკი რა უნდა ვთქვათ, შარშანდელი სალიგო ამბავი გრძელდება.



ბიანი არი და მისი არსნალი ლიგის მეოთხედფინალში არიან

**მეოთხედფინალის წილისყრა**

პირველი მატჩები — 3-4 აპრილი, საპასუხოები — 17-18 აპრილი

- მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) I ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)
- გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) II რეალი (მადრიდი, ესპანეთი)
- ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) III დეპორტივო (ლა პორუნია, ესპანეთი)
- არსენალი (ლონდონი, ინგლისი) IV ვალენსია (ესპანეთი)

**ნახევარფინალის წილისყრა**

პირველი მატჩები — 1-2 მაისი, საპასუხოები — 8-9 მაისი

- II წყვილის გამარჯვებული — I წყვილის გამარჯვებული
- III წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული

ფინალი. 23 მაისი. მილანი. <სან სერო>



# პრ პარ მე ის გუნდი...

პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „კაიზერსლაუტერნი“ „პსე ეინდჰოვენს“ 1:0 მოუგო, მაგრამ თამაშის ხარისხით ჰოლანდიელებმა მეტოქე დაჯახნეს. საპასუხო შეხვედრის წინ კბილებს იღესდნენ. ჯობდა ფეხი აელესათ — ბრუენკმა პენალტი გააფუჭა, რამაც პსე წაახდინა, უხეშობას მოუწმირა, რისთვისაც საკუთარ კარში მარხო ბასლერის პენალტიდან გატანილი გოლი და ვან ბომელის წითელი ბარათი მოიპოო.

ამის მერე კბილები ქომაგებმა გამოაჩინეს, თან ისე, რომ მსაჯს თამაშის 16 წუთით შეჩერება მოუხდა. საწყალი ერიკ გერეტსი, ჰოლანდიელთა მწვრთნელი დარბოდა და ტრიბუნებზე გააყვებულ ხალხს ეხვეწებოდა, დამშვიდდით, გვათამაშეთ, ეგებ მოვიგოთო. რალას მოივებდა?

ლივერპულში დენი მერფიმ იცუღლულა — სანამ გაიტანდა, ბურთი ხელით გაისწორა, თან ისე მოხერხებულად, რომ მსაჯს ვერ შეენიშნა. გაიტანა და 1:0 გახდა. პირველი მატჩი „პორტუსა“ და „ლივერპულს“ შორის უგოლოდ დასრულდა და მერფის გოლს ოქროს ფასი ჰქონდა. კიდევ კარგი, „ლივერპულმა“ მეორეც გაიტანა, მაკლ ოუენმა შეაგლო, თორემ ატყდებოდა ერთი ამბავი, „ლივერპულს“ მსაჯები წყალობენო. გენსომებათ, „რომასთან“ მერვედფინალში არბიტრმა მარკუს ბაბელის ხელით თამაში რატომღაც კუთხურად რომ შეაფასა? ახლა კი ინგლისელებს ეთქმით, მერფის გოლი რომც არ ჩათვლილიყო, ოუენისა ხომ ნადლი იყო.

რივალდომ დაამარცხა „სელტა“. ორი მატჩის ჯამში „სელტამ“ და „პარსელონამ“ ერთმანეთს ოთხ-ოთხი გოლი გაუტანეს, მაგრამ იმ წუხის თანახმად, რომელიც გვამცნობს, რომ უპირატესობა მეტოქის მოედანზე გატანილ მეტ გოლს აქვს, გამარჯვება კატალონიელებს დარჩათ. და რივალდო? სწორედ მან გაიტანა ვიეგოში ორი გოლი, „კამპ ნიუზე“ გაღისიელთა შეგდებული ერთის საპასუხოდ.

ყველაზე უინტერესო „რაიო ვალეკანო“ — „ლავესის“ საპასუხო შეხვედრა გახლდათ. არ იყო „რაიო“ ის გუნდი, სტუმრად გაშვებულ სამ უპასუხო გოლისთვის შინ თუნდაც ამდენივე დაეებრისპირებინა. „ლავესი“ კი ნახევარფინალშია — პირველად ისტორიაში.

**ნახევარფინალის წილისყრა**

პირველი მატჩები — 5 აპრილი, საპასუხოები — 19 აპრილი

- ბარსელონა (ესპანეთი) — ლივერპული (ინგლისი)
- ალავესი (ვიტორია, ესპანეთი) — ბანიზარსლაუტერნი (გერმანია)

ფინალი. 16 მაისი. დორტმუნდი. <ვესტფალენშტადიონი>

ლივერპული - პორტო ინგლისელთა (ნითლაბი) გამარჯვებით დამთავრდა





# სხვადასხვა





4-18 მარტს მელბურნსა და კუალა ლუმპურში ფორმულა 1-ის ეტაპები მოეწყო. ბევრი რამ შეცვლილა გასული წლიდან, უპირველესად — სიჩქარეები. მელბურნში მიხაელ შუმახერმა ადრინდელ მიღწევას 2,3 წამი ჩამოაკლო, რაც დაახლოებით იგივეა, 100 მეტრზე რბენის რეკორდს ვინმემ მთელი წამი მოაკრას. კუალა ლუმპურში კვალიფიკაციათა საუკეთესო შედეგი ერთბაშად თორმეტმა პილოტმა გააუმჯობესა. მოკლედ, ახალი საუკუნის მოთხოვნისამებრ, ფორმულამაც მოიქაჩა, მაგრამ მქედლის მეორე მხარეს ის საფრთხეა, რასაც ბოლიდების ამგ-

## სიჩქარის ფორმულა

ვარი აწვევტა ადამიანთა სიცოცხლეს უქმნის. როგორ დავიცვათ პილოტები? რა უფოთ მომსახურე პერსონალს? ამ და სხვა კითხვებს დღეს მრავალი სვამს. სამართლიანადაც, რადგან თუ კუალა ლუმპურში პილოტებსა და მყურებელს მხოლოდ კოკისპირულმა წვიმამ მოუყა

გუნება, მელბურნში მიხეზი ბევრად ტრაგიკული იყო: ჟაკ ვილნევის ავარიამ ტრასის მარმალი იმსხვერპლა და 7 კაცი დაამაჟა. ამიტომ რბოლების რეგლამენტში ცვლილებებს გეგმავენ, ხოლო სუფთა სპორტული თვალსაზრისით წლეულს ჯერ მხოლოდ „ფერარი“ გამოირჩევა.

მიხელ შუმახერის წითელმა ბედაურმა ორივე რბოლა მოიგო და ორივეჯერ რუბენს ბარიკლოც პოდიუმზე შედგა. „მაკლარენიდან“ წინააღმდეგობას მხოლოდ დევიდ კულპარდი წევს, მიკა ჰაიკინს კი თავი არ გამოეყოფა: ორ რბოლაში კინკლა ქულისა უნდა რცხვენოდეს... და კიდევ, „უილიამსში“ გამოჩნდა სახელოვანი ხუან პაბლო მონტოია და, თუმცა ორივეგან ენთუზიაზმით ირბოლა, ბოლიდის ღალატის გამო ქულაც კი ვერსად მიითვალა — ფორმულა რთული რამ გახლავთ, იქ მხოლოდ პილოტის ოსტატობა არ არის გადამწყვეტი.



# სამ, ეს არის მუღაბა?

ფიზიკურად მოსრიალეთა ვანკუ-ვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე უდავო ფავორიტები, რუსი ფიგურისტები მხოლოდ ერთ ოქროს დასჯერდნენ, ჩრდილოელთა ყულაბა უმაღლესი სინჯის მედლით კვკენი პლუმენკომ შეავსო.



სპორტულ წყვილებშიც გამარჯვებას რუსებს, ანტონ სინარულიძესა და ელენა ბერეჟნაიას დუეტს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ქომაგობით გამხნეებულმა კანადელებმა დავიდ პელებიემ და ჯიმ სალემ რუსები ვერცხლს დაავერეს.

ცეკვებში კი ევროპის წლეგანდელმა ჩემპიონებმა, იტალიელებმა მაურიციო მარგალიომ და ბარბარა ფუსარ-პოლიმ (მარჯვენა ფოტოზე) მსოფლიოს ჩემპიონობასაც გაუსინჯეს გემო და ეს ტიტული ფრანგებს, გვენდალ პეიზერასა და მარინა ანისინას ჩამოართვეს.

ქალთა პაეჟრობაში კი კვლავ გაიბრწყინა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა მიშელ კვანმა (მარცხენა ფოტოზე), რომელმაც რუს დიაცთა, ირინა სლუცკაიასა და მარინა ბუტურსკაიას მძლავრ შემოტევებს გაუძლო და ოქროს მედალი ირგუნა.

# ერთ ჭერქვეშ...

...კერძოდ კი ლისაბონის სამძლეოსნო დარბაზში 9-დან 11 მარტამდე მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი ჩატარდა. იქ ფერთა სიმრავლე იყო, რაშიც დარბაზის ჭრელ დიზაინსა და პლანეტის მრავალი ქვეყნიდან თავმოყრილი ათლეტების ნაირფერ სამოსს ვგულისხმობთ. ჩემპიონატი ორიგინალური გამოდგა: ხმაურიანი გვარ-სახელის პატრონებიდან თითქმის ვერც ერთმა მძლეოსანმა ღირებული ვერაფერი გააკეთა. ეს განსაკუთრებით სიდნეის ოლიმპიადის ტრიუმფატორებზე ითქმის. აი, ლისაბონში ჩაჭრილი ოლიმპიური ჩემპიონების სია: ადამ ნელსონი, სტეისი დრაგილა, გაბრიელა საბო, ნოა ნგენი, ანიერ გარსია, ოლგა შიშიგინა, ჯონათან ედვარდსი... და პირიქით, სწორედ სიდნეის ტრაგიკულად მარცხნაჭამი ჰიშამ ელ გურუჯი (მარჯვენა ფოტოზე) ჩემპიონი გახდა, ისევე როგორც შვედი სტეფან ჰოლმი, სიგრძეზე ზტომის ცხარე კონკურსში სხვებთან ერთად თვით ქებული ხავიერ სოტომიორიც რომ დაჩავრა. კიდევ 19 წლის რუსის, იური ბორზაკოვსკის 800 მეტრზე გამორჩეული სირბილი გახლდათ საყურადღებო. მისი ვარსკვლავი აშკარად ამოდის. ქალთა 60 მეტრზე რბენაში კი პირველობა არავის დაანება ბაჰამელმა ჩანდრა შტურუპმა (მარცხენა ფოტოზე).



სხვადასხვა




# LENNOX Lewis

## პრიზოების დოქტორი

ნაიჯელ კოლინჯი, „რინგი“  
თარგმნა ირაკლი ზამზრელიძემ

ცნობილი ამბავია, რომ ბევრ დიდ ხელოვანს, სანამ ცოცხალი იყო ფრჩხილისოდენა პატივიც არ ღირსებია. სანამ კუბოში არ ჩაწვა, ვინსენტ ვან გოგმა ერთი ნახტიც ვერ გაყიდა, ჰერმან მელვილი კი, რომელმაც 1851 წელს გამოსცა „მოზი დიკი“, სწორედ ამ გამოცემით გაკოტრდა და განადგურდა. ერთი მხრივ დიდი მოკრივენი ხელოვან ხალხს გვანან და დღევანდელ მძიმეწონოსანთა შორის, ლენოქს ლუისმა ნამდვილად დაიმსახურა საუკეთესოს წოდება.



REUTERS



რბ თქმა უნდა, ლუისი ვან გოგსა და მელვილს ვერ გაუტოლდება, მაგრამ თავისი წილი წარმატება მრავლად აქვს — ოლიმპიური ოქრო, საბჭოს ორგზის ჩემპიონობა, მსოფლიოს უდავო ჩემპიონის ტიტული და პირადი რეკორდი, 38(39)-1-1. ეს ყველაფერი მეტად შთაბეჭდავი და მრავლისმეტყველია.

თავის შრომით მან იმდენი ფული იშოვნა, რომ საბრალლო ამერიკელ მწერალსა და ლატაკ კოლანდიელ მხატვარს არც დაესიზმებოდათ, მაგრამ მათ დარად, ლენოქს ლუისის სიდიადისა ვერაც არავის სჯერა.

პროფესიული კრივი დროსტარების იმგვარი წესია, რომ თუკი მოკრივე თავის გოგრას მუშტების მოხვედრის გარდა სხვა რამისთვისაც იყენებს, იმ მოკრივეზე ნაკლებს ლაპარაკობენ. ჭადრაკის მოთამაშე ლუისი ფიქრიანი ადამიანია.

მელვილის, ვან გოგის და სხვა, თავისი დროიდან ამოვარდნილი ადამიანების დარად ლუისიც გულგრილობის კედელთან დგას. მის ბრძოლებზე ხალხი არ ლეღავს. თავისი ყველაზე სახალხო ბრძოლის მსვლელობისას ლუისს 12 ათასი მოსიერის გულაცრუებული ყბუილი ესმოდა. ამ ყბუილისას კი ის საკრივო შედეგს ქმნიდა დევიდ ტუასთან ბრძოლაში.

„ადამიანებს, რომლებიც ნოკაუტს ელიან, კრივის ხელოვნებისა არაფერი ესმით,“ — უთხრა ლუისმა „იესპინის“ გადაცემის „ფ ქლოუზის“ წამყვან გერი მელერს ტუასთან ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ — „ჩემთვის ეს ხელოვნებაა, სპექტაკლია. იკრივო ისე, რომ მუშტი არ მოგხვდეს.“


აქ ახალი არაფერია.

ლუისი ადრეც ამას ამბობდა. მაგრამ ხალხს ეგონა, რომ ეს მისი პოზაა. ყველას, მათ შორის ტუასაც ეგონა, რომ ლუისი მუბლის მუბლზე მიხლით იჩხუებდა. ამავდროულად, ინგლისელი ყოველთვის ფრთხილია სახიფათო მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას. არავის სურდა იმის შემჩნევა, რომ ლუისს ერთი საოცარი ნიჭი აქვს — ის ყოველ მოწინააღმდეგეს შესაბამის სტილს უსადაგებს და ისე ებრძვის, როგორც სწორედ იმ საღამოს არის საჭირო. ამან ლუისს დიდი გამარჯვებები მოუტანა, მაგრამ ხალხს არ შეუძნევიდა ეს გამარჯვებები. ამავდროულად ლუისი ბევრად მგრძობიარე კაცია, ვიდრე გულცივი.

ლუისის გამო მაშინ აყაყანდნენ, როცა მან ორ-ორ რაუნდში წააქცია მაიკლ გრანტი და ფრანსუა ბოთა. კრივის ქომავთავის ხომ ნოკაუტი ნიშნავს ნამდვილ კრივს და სხვა არაფერი. მაგრამ ლუისს არასოდეს აინტერესებდა მოსიერეთა აზრი. ის ხომ არ არის მაიკ ტაისონის, ან თუნდაც ერნი შეივერსის დარი პრიმიტიული ნოკაუტების მოყვარე მებრძოლი: ის დიდი შესაძლებლობებისა და უნარის მოკრივეა და ყბაში მუშტის ღონიერად თხლეშვით ვერ შემოიფარგლება. მას არც ამ გზით მოხვეჭილი სახელი აინტერესებს.

„მე დიდი კაცი ვარ, ჩემი კრივის პასუხიც ეს არის,“ — თქვა ლუისმა — „სულაც არ მინდა პატარა ბიჭს თავპირი დავამტვრიო და ამით ველური ინსტიქტები დავიმშვილო.“

ლუისი მოთმინებით უხსნის ჟურნალისტებს თავის ფილოსოფიას, მაგრამ მაყუ-



ლენოქს ლუისის ხელოვნებას მაიკლ გრანტმა ვერ გაუძლო



REUTERS




რებლები არ ჩქარობენ მის საკრივო აკადემიაში ჩაწერას. მათ ის ფული უფრო ადარდებთ, სისხლის სანახავად რომ გადაიხადეს და ხელოვნების ცქერამ რომ მოუწიათ. ასე მოხდა მისი ბოლო ბრძოლის დროს ტუას წინააღმდეგ. ტუამ წარმოიადგინა, რომ სამოელი ვო ლუისია და ფოლკლორის გმირი ხდება. მაგრამ დაიწყო ბრძოლა და

გაირკვა, რომ ლეგენდარული ბრძოლის, მითის წარმოქმნის არანაირი საშუალება არ არსებობს, რადგან კრივი ბევრად რთული ხელოვნებაა ლუისის ხელში, ვიდრე მითი. გაუგებრობას ისიც უწყობს ხელს, რომ 35 წლის ლუისი ახლა ბევრად უკეთ კრივობს, ვიდრე ოდესმე და თავისი საქმიანობით შემოქმედებითად კმაყოფილი ჩანს. ტუ-

ლაუის ფილმის ილაგან... არნოლდ შვარცენაგერთან ერთად

REUTERS



ასთან ბრძოლის ბოლო რაუნდებში მან მუჰამედ ალის სტილის ზუსტი ასლი შემოგვთავაზა. ეს იყო ბუნებრივი და ზომიერი ასლი, რომლის უკანაც შოუ კი არ იგრძნობოდა, არამედ, საჭიროება და ძალა. ამ კაცის წმინდა ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამძლეობა დღეს რინგზე არავინაა. რა თქმა უნდა, არც მაიკ ტაისონი. ვიყვარს თუ გბულს, ვერსად გაექცევი მძიმე წონის ტახტზე მჯდომ ინგლისელს. უმჯობესია მოგვწონდეს ლუისი იმისთვის, რაც ის არის და არა გვპულდეს იმისთვის, რაც არ არის.

ლუისმა პირველმა ახსენა სიტყვა „კრივოლოგია“ და ამით ძალიან ბევრი თქვა. ადამიანებისთვის, რომლებიც ევანდერ პოლიფილდის და ტაისონის დარი მებრძოლების ცქერას დაეჭვიან, ლუისი ძველი მისაღებაა. ჩანს, რომ არავის უნდა ჩვეულებრივი ბიჭისთვის ტაშის კვრა. მაგრამ, თუკი ვნებას დავიცხრობთ, დავინახავთ, რომ ის ჯენტლმენია და თურმე შეიძლება, რომ მოკრივე ჯენტლმენი იყოს. ის არასოდეს ებმევა წინასაკრივო ლანძღვაში, რაც შოუს ნაწილია. ის არასოდეს დაუჭვრია პოლიციას და არც სკანდალებში გახვეულა. ის ქველმოქმედი კაცია და სანამ ცოცხალი ჰყავდა, თავის ბრძოლებზე დედას იახლებდა ხოლმე.

ანუ ის ისეთია, როგორც ადამიანთა უმრავლესობა, პატიოსანი და წესიერი.

თხუთმეტი წელიწადია, ლენოქს ლუისი პროფესიონალია და ამ დროის განმავლობაში არასოდეს დამალვია ვინმეს. ამ დროის განმავლობაში ის არ შეხვედრია ორადორ კაცს — რიდი ბოუს და მაიკ ტაისონს, მოკრივეებს, რომლებიც თვითონ ემალებოდნენ და ემალებიან.

აშკარაა, ახლა ტაისონს უნდა, რომ შეხვდეს მას, ანდა, ამბობს, რომ უნდა ლუისთან შეხვედრა. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ 90-იან წლების შუაში მისტერ მაიკმა ძალიან დიდ ფულზე თქვა უარი და ლუისთან შეხვედრა ჩაშალა. ეს ის დრო იყო, როცა მაიკ ტაისონი ფრენკ ბრუნოსა და ბრუს სელდონის დარი ჯეკლების ცემით იბრუნებდა ტიტულს.

მძიმე წონის ისტორიას ახსოვს დიდი ჩემპიონები, რომლებმაც ტიტულები კი მოიგეს, მაგრამ კუთვნილი სახელი ვერ დაიკავეს: ჯინ ტანი, ეზარდ ჩარლზი და ლარი პოლმსი იყვნენ ასეთები. ისინი დახვეწილნი, ლუისის მსგავსად გონისმიერი მოკრივენი იყვნენ და არა ფაბები.

ლუისსაც აქვს ჯიგარი და როცა სჭირდება, ფაბურადაც იჩხუბებს. ასე იკრივა მან რეი მერსერთან და შენონ ბრივსთან.

დღეს, ტანი და ჩარლზი კრივის დიდების დარბაზის წევრები არიან. იქვე მოხვდება პოლმსიც, თუკი შეეძლება გასართობ ბრძოლებს და ხელთათმანებს ლურსმანზე ჩამოჰკიდებს. ლუისიც იქნება ამ დარბაზის წევრი, მაგრამ ის, ჯერჯერობით, მოქმედი მოკრივეა.

თუკი ტაისონთან შეხვედრა არ მოხერხდება, ლუისი ვლადიმერ კლინკოს, ჰასიმ რაჰმანს, ან კირკ ჯონსონს შეეებმევა. ანდა სამივეს, რიგრიგობით. ის არ ჰყავს ტაისონს, რომლისთვისაც მთავარი ფინანსური მხარეა. ლუისი არასოდეს ეძებს ჯულიუს ფრენსისისა და ლუ სავარეზეს დონის მოწინააღმდეგეებს.

არის რაღაც საინტერესო ლუისის მიდგომაში თავისი ხელობის მიმართ. მისთვის კრივი სპორტია, სპორტი კი ჯენტლმენობას გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ იამაიკაში დაიბადა, სკოლა კანადაში დაასრულა, ვარჯიში კი პენსილვანიაში დაიწყო, ლუისი გასოცრად ბრიტანული მენტალიტეტის კაცია. და არამარტო ეს. მისი ბრძოლის სტილი, ტრადიციული, კლასიკური, ინგლისური ბრძოლის სტილია: წელგამართული ღეოში, მარცხენა ჯები და ასე შემდეგ.

და მაინც ის ამბობს: „მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ.“ ეს გულშემატკივრებს აკარგვინებს და სძენს კიდევ: მისი რეგი სტილში დაწნული თმა სულაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის რაღაც ბობ მარლის მსგავსი საერთაშორისო ვინმეა. ის კრივის მსოფლიო ჩემპიონია და იმ სამყაროში ტრიუმფებს, სადაც შოვინიზმი ჯერ კიდევ ჩვეულებრივი ამბავია.

ლენოქს ლუისი დღევანდელი კულტურის ნაწილი და მისი ერთ-ერთი პრობლემის სახეა. მხოლოდ ხელოვნება, მხოლოდ შედეგი, მხოლოდ სილაამაზე და ნიჭი აღარაის აკმაყოფილებს, ეს ყველაფერი ჯერონად ვერ ჩნაპნის გულს. აქ ხმაურია საჭირო და დიდისტატი, რომელსაც წყნარი პირადი ცხოვრება აქვს, არათუ გვანტერესებს, დისკომფორტსაც კი გვიქმნის. მაგრამ წამით შევეშვათ ამ ფიქრს და წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა დღევანდელი კრივი მის გარეშე.

არცთუ მომხიბლველი სურათია, არა? მოკრივეს მუზეუმში ვერ დაიდებ და წიგნის თაროზე ვერ შემოიღებ. მას უნდა უყურო, აი, ახლა და ამ წუთს და იფიქრო მის ოსტატობაზე. ჩვენც შევიტყობთ ლენოქს ლუისი, სანამ ის რინგზე დგას.

REUTERS



საუაღრუ აჰურუ უჰჰ 2002 ნულუი



# მსოფლიოს ეპროპუღი ეკვატორი

**მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ევროპულმა შესარჩევმა მატჩებმა ეკვატორს უწია. რა ხდება, ვინ მოიპოვებს იაპონია-კორეის სავზურს? ცხადია, ჯერ, ამაზე ადრეა ლაპარაკი, მაგრამ ცალკეულმა გუნდებმა რაღაც კონტურები რომ მოხაზეს, ალბათ, ამაში ცხრილებიც დაგარწმუნებთ.**

რომელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ძალუძს თქვას: მშვიდად ვარო? ასეთები ჯერჯერობით თითებზე ჩამოსათვლეღი თუა: პოლონეთი, იტალია და გერმანია.

ევროპული და მსოფლიო ფეხბურთის გრანდებზე, იტალიასა და გერმანიაზე აღარაფერს ვამბობთ, აი, პოლონეთი კი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი და, ალბათ, სასიამოვნო სიურპრიზია. პენრი კასპერჩაკის შეგირდები მეტოქეებს ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებენ.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი, ალბათ, ბოლოხანს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებს ნაჩვევი ნორვეგიის ნაკრების ჩავარდნაა. ვიკინგებმა მინსკში მორივი მარცხით, ფაქტობრივად, მოისპეს იაპონია-კორეაში ჩასვლის შესაძლებლობა.

I ჯგუფი	
24 მარტი	
იუგოსლავია 1:1 შვეიცარია	
ლუქსემბურგი 0:2 ფარერები	
რუსეთი 1:1 სლოვენია	
28 მარტი	
სლოვენია 1:1 იუგოსლავია	
შვეიცარია 5:1 ლუქსემბურგი	
რუსეთი 1:1 ფარერები	
რუსეთი	4 3 1 0 6:1 10
შვეიცარია	5 2 2 1 13:5 8
სლოვენია	5 1 4 0 8:7 7
იუგოსლავია	3 1 2 0 4:2 5
ფარერები	4 1 1 2 5:8 4
ლუქსემბურგი	5 0 0 5 1:14 0
25 აპრილი	
იუგოსლავია — რუსეთი	
2 ივნისი	
რუსეთი — იუგოსლავია	
ფარერები — შვეიცარია	
სლოვენია — ლუქსემბურგი	
6 ივნისი	
შვეიცარია — სლოვენია	
ლუქსემბურგი — რუსეთი	
ფარერები — იუგოსლავია	

**II ჯგუფი**

24 მარტი  
ანდორა 0:5 პოლანდია  
კვიპროსი 0:4 ირლანდია

28 მარტი  
პორტუგალია 2:2 პოლანდია  
კვიპროსი 2:2 ესტონეთი  
ანდორა 0:5 ირლანდია

ირლანდია	5	3	2	0	12:3	11
პორტუგალია	5	3	2	0	11:4	11
პოლანდია	5	2	2	1	13:6	8
კვიპროსი	5	2	1	2	10:12	7
ესტონეთი	5	2	1	2	6:8	7
ანდორა	7	0	0	7	3:22	0

25 აპრილი  
პოლანდია — კვიპროსი  
ირლანდია — ანდორა

2 ივნისი  
ირლანდია — პორტუგალია  
ესტონეთი — პოლანდია

6 ივნისი  
ესტონეთი — ირლანდია  
პორტუგალია — კვიპროსი

**III ჯგუფი**

24 მარტი  
ჩრდ. ირლანდია 0:1 ჩეხეთი  
ბულგარეთი 2:1 ისლანდია  
მალტა 0:5 დანია

28 მარტი  
ჩეხეთი 0:1 დანია  
ბულგარეთი 4:3 ჩრდ. ირლანდია

ჩეხეთი	5	3	2	0	6:0	11
ბულგარეთი	5	3	1	1	10:6	10
დანია	5	2	3	0	9:3	9
ჩრდ. ირლანდია	5	1	1	3	5:7	4
ისლანდია	4	1	0	3	3:8	3
მალტა	4	0	1	3	0:9	1

25 აპრილი  
მალტა — ისლანდია  
2 ივნისი  
ისლანდია — მალტა  
ჩრდ. ირლანდია — ბულგარეთი  
დანია — ჩეხეთი

6 ივნისი  
ისლანდია — ბულგარეთი  
დანია — მალტა  
ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია

**IV ჯგუფი**

24 მარტი  
თურქეთი 1:1 სლოვაკეთი  
შვედეთი 1:1 მაკედონია  
აზერბაიჯანი 0:0 მოლდოვა

28 მარტი  
მაკედონია 1:2 თურქეთი  
მოლდოვა 0:2 შვედეთი  
სლოვაკეთი 3:1 აზერბაიჯანი

სლოვაკეთი	5	3	2	0	7:2	11
თურქეთი	5	3	2	0	7:3	11
შვედეთი	5	3	2	0	5:1	11
მაკედონია	5	1	1	3	4:5	4
მოლდოვა	5	0	2	3	0:5	2
აზერბაიჯანი	5	0	1	4	1:8	1

2 ივნისი  
შვედეთი — სლოვაკეთი  
თურქეთი — აზერბაიჯანი  
მაკედონია — მოლდოვა

6 ივნისი  
შვედეთი — მოლდოვა  
თურქეთი — მაკედონია  
აზერბაიჯანი — სლოვაკეთი

**V ჯგუფი**

24 მარტი  
ნორვეგია 2:3 პოლონეთი  
უკრაინა 0:1 ბელარუსი  
სომხეთი 2:2 უელსი

28 მარტი  
უელსი 1:1 უკრაინა  
პოლონეთი 4:1 სომხეთი  
ბელარუსი 2:1 ნორვეგია

პოლონეთი	5	4	1	0	13:4	13
ბელარუსი	5	3	1	1	7:6	10
უკრაინა	5	2	2	1	6:6	8
უელსი	5	0	4	1	5:6	4
სომხეთი	5	0	2	3	5:11	2
ნორვეგია	5	0	2	3	4:7	2

2 ივნისი  
სომხეთი — ბელარუსი  
უელსი — პოლონეთი  
უკრაინა — ნორვეგია

6 ივნისი  
ნორვეგია — ბელარუსი  
უკრაინა — უელსი  
სომხეთი — პოლონეთი



REUTERS

**VI ჯგუფი**

24 მარტი  
ხორვატია 4:1 ლატვია  
შოტლანდია 2:2 ბელგია

28 მარტი  
შოტლანდია 4:1 სან მარინო

შოტლანდია	5	3	2	0	10:3	11
ბელგია	4	2	2	0	16:3	8
ხორვატია	3	1	2	0	5:2	5
ლატვია	4	1	0	3	2:9	3
სან მარინო	4	0	0	4	1:17	0

25 აპრილი  
ლატვია — სან მარინო

2 ივნისი  
ხორვატია — სან მარინო  
ბელგია — ლატვია

6 ივნისი  
ლატვია — ხორვატია  
სან მარინო — ბელგია

**VII ჯგუფი**

24 მარტი  
ესპანეთი 5:1 ლისტენშტაინი  
ბოსნია 1:1 ავსტრია

28 მარტი  
ავსტრია 2:1 ისრაელი  
ლისტენშტაინი 0:3 ბოსნია

ესპანეთი	4	3	1	0	10:2	10
ავსტრია	4	2	2	0	5:3	8
ისრაელი	4	2	0	2	6:5	6
ბოსნია	4	1	1	2	6:6	4
ლისტენშტაინი	4	0	0	4	0:11	0

25 აპრილი  
ავსტრია — ლისტენშტაინი

2 ივნისი  
ესპანეთი — ბოსნია  
ლისტენშტაინი — ისრაელი

6 ივნისი  
ისრაელი — ესპანეთი

პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია)

**VIII ჯგუფი**

24 მარტი  
რუმინეთი 0:2 იტალია  
უნგრეთი 1:1 ლიტვა

28 მარტი  
იტალია 4:1 ლიტვა  
საქართველო 0:2 რუმინეთი

იტალია	5	4	1	0	13:2	13
რუმინეთი	4	2	0	2	3:5	6
უნგრეთი	3	1	2	0	9:4	5
საქართველო	3	1	0	2	4:4	3
ლიტვა	5	0	1	4	2:16	1

2 ივნისი  
რუმინეთი — უნგრეთი  
საქართველო — იტალია

6 ივნისი  
ლიტვა — რუმინეთი  
უნგრეთი — საქართველო

**IX ჯგუფი**

24 მარტი  
გერმანია 2:1 ალბანეთი  
ინგლისი 2:1 ფინეთი

28 მარტი  
საბურძნეთი 2:4 გერმანია  
ალბანეთი 1:1 ინგლისი

გერმანია	4	4	0	0	9:3	12
ინგლისი	4	2	1	1	5:3	7
ფინეთი	4	1	1	2	3:4	4
ალბანეთი	4	1	0	3	5:7	3
საბურძნეთი	4	1	0	3	3:8	3

2 ივნისი  
საბურძნეთი — ალბანეთი  
ფინეთი — გერმანია

6 ივნისი  
საბურძნეთი — ინგლისი  
ალბანეთი — გერმანია



თეიმურაზ ჯაბაია ახალბედა მუნტიანუს აგონიაზე

# პირტუგალი ჯიგრიძე პროკლამატი

## სოლომონ გულიანოვი



დიდი დროა ფეხბურთზე უბრალო გულშემატკვიარებით აღარ წავსულვარ. სარედაქციო ღვალებებმა, პრესკონფერენციებმა და ათასმა სხვა პროფესიულმა წვრილმანმა უფრო პრაგმატული და თავდაჭერილი გამხადა.

იმ ოთხშაბათს სავაზეთი დავიდარაბისგან თავისუფალი გახლდით და სტადიონზე შვილი წავიყვანე. ვიფიქრე უკვე რვა წლისაა, დროა, ხელს მოვკიდებ და ჩვენების თავგამოდებას ვაჩვენებ-მეთქი.

განა ასე არ არის? აბა გაიხსენეთ, საიდან დაიწყო ამ თამაშისადმი ჩვენი სიყვარული? საიდან და, ერთხელაც მამამ სტადიონზე წავიყვანა. იქ კი, რაღაც ვაჟკაციური, გულიდან ამოხეთქილი ალალი ემოცია ეხანეთ და მერე ფეხბურთითაც დაავეადდით.

საქართველო, საქართველო!... დაქუხა აღმოსავლეთ ტრიბუნამ და შინდისფერი დროშებიც შეირხა. მერე აღმოსავლეთს მხარი დასავლეთამაც აუბა და ქართველთა ურია-მულმა იქაურობა დააყრობა...

მამა, ნახე! საქართველო — ყვირიან. თან რამდენი დროშებია... სახელოზე მეტაჩება პატარა და გაბრწყინებული თვალე

	<p>28 მარტი. თბილისი, ეროვნული. 27 000 მაყურებელი</p>	
<b>საქართველო 0:2 რუმინეთი</b>		
<p>0:1 დ. მუნტიანუ (69), 0:2 კონტრა (81)  <b>საქართველო:</b> გვარამაძე, სილაგაძე (იაშვილი 72), კობიაშვილი, რეხვიანი, ხიზანიანი, კალაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი (ზ. ჯანაშია 52), ქეცბაია (ქემოკლიძე 60), ქინქლაძე, შ. არველაძე  <b>რუმინეთი:</b> დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი  <b>რუმინეთი:</b> სტელია, კონტრა, პროდანი, ფილიპესკუ, კ. მუნტიანუ, რადოი (გალკა 57), კივუ, დ. მუნტიანუ, მოლდოვანი (სტოიკა 87), კოდრია, ილიე (ნიკულაე 21)  <b>რუმინეთი:</b> ლადისლავ ბოლონი  <b>გაფრთხილება:</b> კივუ (42), კ. მუნტიანუ (57), ქემოკლიძე (77)  <b>მსაჯი:</b> რუნე პედერსენი (ნორვეგია)</p>		

საბავშვო საფეხბურთო სკოლა



ალექსანდრა რახვიაშვილი და ვაჟალ ჯორჯია



ლევან ჯობიაშვილი ჯონსტანტინ გალაუს ვერ გაქცა

ქართველთა ყვალაზე სახიფათო შტაბვა: გიორგი ნემსაძის ამ დარბჯვას იულან ფილიპასა გადაელოზა

საბავშვო საფეხბურთო სკოლა



ბით მიფურებს...  
ველარ ვუძლებ და თვალეში ცრემლი მიდგება. არ მინდა ბიჭმა ასეთი მწახოს და განზე ვიფურები. მერე ვცდილობ თავი დავიმორჩილო, ნაძალადევად ვშევიდები და ვუხსნი, რომ ეს სტადიონი ქართული ჯიგრისწვის ერთი მთავარი კერაა, რომ აქ მსოფლიოს უდიდესი გუნდები დაგვიცია და რომ საქართველო მაგარი ქვეყანაა...  
ეჰ, ეს რიტუალი ვირტუალური გამოდგა. სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა და... მერე, მერე არაფერი...  
სათანავარიც არ არის გასული და უნაწობ, რომ ბიჭი ფეხბურთზე წაიყვანე. ირგვლივ საშინელი, გულიდან ამოხეთქილი, სასოწარკვეთილი, ბილწი ვინება და კოკა კოლას ბოთლების სრილაა...  
ხომ არ შეგეშინდა-მეთქი, ვეკითხები. არაო — მასსულობს და სულ უფრო მეკვრება...  
მერე, თქეშში მივრბივართ, შინ ვბრუნდებით. არანაირი ემოცია, არანაირი განცდა, უბრალოდ, ღამე და წვიმა...  
გვეკონა რუბინეთს მოვუგებდით, ჯგუფში მქორეობაზე გავიქანებოდით და ხალხს, ღამის ჩამქრალი ქართველობის ნაკვერჩხალს ოდნავ მაინც გავუღვივებდით, თუმცა, უფრო მართებული იქნებოდა ეს ყველაფერი მესამე პირში გვეთქვა. დიან: რუ-



რუმინეთის ნაჩრები. მარცხნიდან ღვანაძე: სტალია, ფილიპკასუ, ჰროლანი, ჯოლარი, რალოი, ილია. სხედან: ჯიჟუ, დ. მენტიანუ, ჯონსრა, მოლდოვანი, ჯ. მენტიანუ

მინეტს მოუგებდნენ, მთორეობაზე გასაქა-  
ჩად ვიგარი აენტებოდათ და ნაკვერჩხალს  
ოღნავ მაინც გააღვივებდნენ...

300 ათასი ლარი მოგებისთვის, ექვსდღი-  
ანი შეკრება გერმანულ ჰენფში, თამაშის  
წინა დღეს თბილისში ჩამოსვლა და საბუ-  
რთალოზე, ელიტარულ სასტუმრო „მონო-  
პოლში“ ცხოვრება, „ეროვნულზე“ ვაჟკაცი  
მორაგებების არმეშვება და შედეგად გამ-  
წვანებული და განათებული მინდორი.

აქეთ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა, იქეთ  
მაკ ასათიანის კოსტუმების მორგება.

ელიტარულობა და ბაქიაობა გაწამებუ-  
ლი, გასაცოდავებული თანამემამულეების  
წინაშე...

მერე ვალებში ჩაფლული ხალხის გმი-  
ნვა, ბოლო ათლარიანის გაღება და მორიგი  
თავსლაფისდასხმა...

ნამატჩევს წერეთლის მეტროსკენ რომ  
სტადიონიდან გამოსასვლელია, ერთი 50  
წლამდე კაცი წვიმაში იდგა, ავინებდა სა-  
ქართველოს, ქართველებს, საკუთარ თავს  
და გარშემოყოფით... მერე პოლიციელები  
მოვიდნენ, შეუბღვირეს, უყვირეს და მუქა-  
რითა და გინებით იქიდან გააგდეს...

რუმინეთი საშუალო ევროპული გუნდია.  
ბრძოლაში გამოცდილი და კონტრშეტვე-  
ების მოყვარული. იმაში, რაც ატრიკოლორე-  
ბმა“ (რუმინელთა მეტსახელია) თბილისში  
ითამაშეს, ახალი არაფერი ყოფილა. ასეთ  
სტილს მისდევენ დაახლოებით 20 წელი-  
წადა. ანუ, ქართველთათვის მოულოდნელი  
არაფერი უნდა ყოფილიყო. დღეს პირველი  
წუთიდან პრესინგს რუმინეთი კი არა, ნე-

ბისმიერი ფარერები გეთამაშება, შენ კი  
წლების მანძილზე გამოსავალი ვერ გიპო-  
ვია...

მატჩამდე რედაქციაში ვუბობდი, ცენტრში  
მოგვეუდავენ, სწრაფი, ერთშეხებიანი თა-  
მაშით გაგვაბრუებენ და ერთსაც შორიდან  
გაგვიტანენო. განა ვტყუოდი...


აბა, ბოლო ათწლეულის რუმინული ამ-

საქართველოს ნაჩრები.  
მარცხნიდან ღვანაძე: სილაგაძე,  
ჟავლაშვილი, ჯალაძე,  
ჯორჯაშვილი, გვარამაძე, ნაშსაძე.  
სხედან: ჟიგაია, შ. არვალაძე,  
ქინქლაძე, რახვიაშვილი,  
ბიზანიშვილი



საქართველოს ნაჩრები





გამარჯვებული ჯაჯიბანი  
- ჯრისტიან ჯიკუ

ბები გაიხსენეთ, საჯარიმოში თითქმის არ შედიან — შორიდან, სწრაფად და ზუსტად... ეს არის მათი კოზირი. მაგრამ ეს ხომ „შინდისფერთა“ მწვერთვლებმა ჩვენზე გაცილებით უკეთ იცნან.

ჩვენ კი, ხეირიანად კარშიც არ დაგვირტყამს...

ისეთ მატჩებს ანალიზებენ, სადაც ფეხბურთის ლოგიკურად თამაშობენ, აქ კი სამი თვის უთამაშებელი ქინქლაძე მინდორზე და საუკეთესო ფორმაში მყოფი ჯამარაული სკამზე... უდროო დროს გამოყვანილი ჯანაშია-იშვილი და გაუგებარი დავალებებით მთარული ფეხბურთელები...

საკუთარ თავს, მით უმეტეს, გულშემატკივრებს, არ ვაკადრებთ ამ თამაშში რაიმე ტაქტიკაზე ან საფეხბურთო ელემენტებზე ვისაუბროთ, რადგან ამოა...

ღმერთმანი, ვინატრებდი, იტალია ჯგუფში მეტად აღარ შეგვხდეთ, თორემ ისე გამოდის, „სკუადრა ამურასთან“ „კარგად“ თამაშობთ, მაგრამ მარცხდებით, მერე ამბიციებიც გინდებათ, მაგრამ პირველივე პრი-

ნციბულ მატჩს ავებთ და ბუნებრივ მდგომარეობას უბრუნდებით. აბა, გაიხსენეთ, ნაიტალიევს ჯერ ინგლისთან 0:2, ახლარუმინეთთან. თანაც იორივე რაღაც ეპოქის დასასრულს ჰგავდა...

გული მიკვდება, როცა ამ სიტყვებს ვწერ, რადგან უმრავლესობას უკვე დიდი ხანია გიცნობთ...

არ ვიცი, ბიჭებო, მაგრამ მგონია, რომ თქვენმა თაობამ სანაკრებო კარიერა უნდა დაამთავროს. არ შეიძლება 6-7 წელი ერთი და იგივე მეორდებოდეს... შეიძლება ხვალ უარესები მოვიდნენ, მაგრამ თავიდანვე წაგებაზე მაინც არ იფიქრებენ...

ასე ვთქვათ: ერთხელ მაინც მოვივლით მოსაგები და ფეხბურთზე მერე ვილაპარაკოთ...

ჩვენი წერა კი უფრო გულისფხანას ჰგავს, ვიდრე საქმის კეთებას. გახსოვთ ილია? ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო აღარ იქნებაო.

ვაგლახ, რომ გულიც და ტვინიც გაგვიქეციან-დაგვიჭიანდა...

ყვლაფარი ცხალია - რამინათმა საპარტოვლოს აღვილი მიუჩინა

მია ახალაძე







# საქართველოს მორაბგებითა ნაკრები

ზურაბ მგუდლიძეილი, გუჯა იოვანე, მაღლაზ ურჯუკაძეილი, თედო ზიბზიბაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ვასილ კაცაძე, ვასილ აბაშიძე, პაულიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, ილია ზედგინიძე, ვია ლაბაძე, დავით ბოლოდაძეილი, ვიქტორ დიდუბუილიძე, ვანო ნადირაძე, მეგლუდ მთიულიძეილი, აქსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე

